საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 428/ს
01/11/2022

428-21-4-202211011127

ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N11ბ-ში შპს „ბათუმის მილის“ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ბათუმში, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N11ბ-ში შპს „ბათუმის მილის“ პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 63;
2. შპს „ბათუმის მილი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 63 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის მილს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის მილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო